1149/13-341

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

1996 წელი | 12(17) | დეკემბერი | BURJI EROVNEBISA | ფასი 40 თეთრი

იუბილე



თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი დაჟინებული ფიროსმანის მოსაგონებლად. აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა როგორც სიზმარი – (საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება), ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი, მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.

ლადო ასათიანი

დედაენა ქართული სკოლის გერად არ უნდა ვაქციოთ...

გვ. 2

საქართველოში განათლება დაიღუპა მაშინ, როდესაც...

გვ. 3

ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაც ამ ცოტა ხნის წინათ „გადახალისდა", ჯერჯერობით არ ჩქარობს მუშაობის განახლებას...

გვ. 13

მკრეხელობაა იაკობის "დედაენასთან" თავის გატოლება

გვ. 14

ბესარიონ
ჟორჟენაძის
საზოგადოების გაზეთი
მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი
მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე
დირექტორი
მირიან ხაჭვანი
რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკნიშვილი,
ნანა ლოლაძე
რამაზ ქურდაძე
ნინო ჭუმბურიძე
მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი
რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი
სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
კორნელი დანელია,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ნინო კვანტალიანი

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46
ინდექსი 76016

## ო, ენავ ჩემო...

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა პედაგოგ ლენა მგალობლიშვილის წერილი „ოცნება სახელმძღვანელოზე". წერილში დასმული საკითხი დიდად მნიშვნელოვანი გვგონია ქართული ენის თვალსაზრისით.

# განგაშის ზარი

დავინტერესდით და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის I-II კურსის სტუდენტებს ასეთი კითხვარი დავურიგეთ:

1. სწავლობდით თუ არა X-XI კლასებში საგანს ქართული ენა?

2. სკოლის დამთავრებისას ჩააბარეთ, თუ არა ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

3. თუ ჩააბარეთ, საგამოცდო ბილეთში იყო თუ არა შეკითხვა ქართული ენიდან.

4. თუ იყო შეკითხვა ქართული ენიდან, იყო თუ არა სავალდებულო მასზე პასუხის გაცემა.

ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის ყველა შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი მივიღეთ. რა თქმა უნდა, არსებობს ბედნიერი გამონაკლისებიც, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა (2–5%). ზოგადი სურათი ასეთია:

X-XI კლასებში ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, ცხრილებში კი არის შეტანილი, მაგრამ არ ისწავლება. ეს საათები ან ქართული ლიტერატურისათვის გამოიყენება, ან სხვა დანიშნულებით, ხშირად არც ტარდება გაკვეთილი (ზოგმა კურსდამთავრებულმა ასე გვიპასუხა: „არ მახსოვს").

სკოლის დამთავრებისას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა ჩატარდა ზოგიერთ სკოლაში. პასუხი „არ მახსოვს" ამ კითხვაზეც მივიღეთ. I-II კურსელი რომ [illegible] არ მახსოვს, ზეპირი გამოცდა ჩავაბარე თუ არაო, ეს რა უბედურებაცაა ჩვენი სკოლისთვის, ალბათ განმარტებას არ საჭიროებს.

იქ, სადაც ჩაბარდა ზეპირი გამოცდა, საგამოცდო ბილეთებში ზოგან არ იყო შეტანილი საკითხი ქართული ენიდან, არც წინადადების გრამატიკული გარჩევა მოუთხოვიათ. ზოგიერთ სკოლაში საგამოცდო ბილეთებში იყო შეტანილი საკითხები ქართული ენიდან, მაგრამ გააფრთხილეს მოსწავლეები, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო სავალდებულო. იყო შემთხვევა, როცა მასწავლებელმა წინასწარ ჩააწერინა მოკლე პასუხები ენობრივ საკითხზე, თუმცა ეს ძალზე იშვიათი შემთხვევაა (საერთოდ, საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხები საგანგებო მსჯელობის საგნად გვესახება).

პასუხი „არ მახსოვს" თითქმის ყველა კითხვაზე გაეცა. ზემოთაც ვთქვით, ახალკურსდამთავრებული რომ ასე უპასუხებს ამ შეკითხვებს, ეს გამოცდებისა და, საერთოდ, სწავლების პროცესის არასერიოზულობაზე მიანიშნებს.

მდგომარეობა საგანგაშოა, დროა დავარისხოთ განგაშის ზარი!

დედაენა ქართული სკოლის გერად არ უნდა ვაქციოთ!

და ბოლოს: კითხვარზე გაცემული პასუხები ჩვენს რედაქციაში ინახება. გამოკითხვა ჩაატარეს პროფ. გ. გოგოლაშვილმა, დოცენტებმა: ა. არაბულმა, ვ. მაღრაძემ, რ. ქურდაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სკოლა - ჩვენი ხატკივარი

### მადინა ქართოზია:

# საქართველოში განათლება დაიღუპა მაშინ...

განათლების სისტემა რომ მოძველდა და რეფორმაა საჭირო, ეს თვალნათლივ ჩანს. ასეთი ზოგადსაგანმანათლებლო თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებით შორს რომ ვერ წავალთ, ესეც ჭეშმარიტებაა. ალბათ, სწავლების დონის ამაღლებისათვის ზრუნვას უნდა მოვაწყროთ განათლების სამინისტროს კოლეგიის ის გადაწყვეტილებაც, პედაგოგთა ატესტაციის საკითხს რომ შეეხება. სკოლებში უამრავი პრობლემა დაგროვდა: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ეს უკანასკნელი მხოლოდ „საჩვენებელ" სკოლებშია), სახელმძღვანელოების (ხელახლა იბეჭდება მათი მოძველებული გამოცემები, იშვიათად ახალიც იბეჭდება, მაგრამ იმდენად ძვირი ღირს, რომ ვერც მშობელი და ვერც მასწავლებელი ვერ შეიძენს) უქონლობა აძნელებს სწავლების პროცესს. ამას ემატება საერთო ყოფითი სირთულეებიც და ასეთ დროს ატესტაცია... კი, ბატონო, სკოლებში სწავლების უკეთ წარმართვისათვის აუცილებელიცაა ახალი სიტყვის თქმა, მაგრამ არა ასეთი ფორმით და არა ასეთი მეთოდით.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ გამოცემული ტესტების ნიმუშები ღარიბახვარი ღირს. ამავე ინსტიტუტში სამდღიანი კონსულტაცია- ხუთი ლარი. ეს ხომ ჯიბეგამოხუკული და ნახევრად მშიერი მასწავლებლის მთელი თვის ხელფასია (უკეთეს შემთხვევაში, ამ ხარჯებს გაიღებს სკოლის დირექცია, რომელსაც არც ისე უღხინს). თუ გავითვალისწინებთ ქალაქის სკოლებისა" და სასწავლებლების სიმრავლეს, მივხვდებით, რა თანხა უნდა შევიდეს ინსტიტუტის ბიუჯეტში (რეგიონებს არ ვთვლით). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა დიდი ხნით გადაჭრა თანამშრომელთა ხელფასების გაცემისა თუ გადიდების საკითხი. თუ ეს ატესტაცია ყოველ სამ წელიწადში ასეთი ფორმით ჩატარდა, ინსტიტუტს სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მსგავსად, დახურვა ნამდვილად არ ემუქრება. არ შეიძლება აქვე არ აღენიშნო - ბოროტი ენები (მათი მე არ მჯერა, მაგრამ ხომ შეიძლება სხვამ დაიჯეროს) იმასაც ამბობენ, სამეცნიერო ცოდნის დონის დამდგენი ტესტების სწორი პასუხები კოლოსალური თანხა ღირსო. მავანმა და მავანმა ამ საქმეში დიდი თანხა ჩადო და რაც არ უნდა წერონ, არაფერი გამოგივათო (პედაგოგების ხარჯზე გამდიდრებული კაცი ჯერ არავის უნახავს). მართალია, ასეთ "დიდ" საქმეს ყოველთვის მოჰყვება ჭორები, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო.

ტერსაჭყლეტი საკითხების სამ ვარიანტად შედგენაზე ნამდვილად დიდი ჯაფაა დახარჯული. იქნებ სჯობდა, ეს ენერგია სასწავლო პროგრამების დროულად შედგენასა და სხვა პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის დახარჯულიყო.

ატესტაციის ერთ-ერთმა თაოსანმა რადიოინტერვიუში ისიც განაცხადა, ტესტები „კარგ" მოსწავლეებს დავურიგეთ და ადვილად გასცეს სწორი პასუხებით, მაპატიეთ და ეს მხოლოდ განათლების სისტემაში ჩაუხედავ კაცს შეეძლო ეთქვა. ან უკეთეს შემთხვევაში, მას 6–7 წელია სკოლაში არ შეუხედავს.

XX საუკუნის 90-იანი წლები დიდი გარდატეხისა და ქაოსის წლები იყო. ეს განათლებასაც შეეხო, დამღუპველადაც იმოქმედა და აუცილებელიცაა მისი მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ... არა ასე, ბატონებო!

გაზეთ "ალიას" 21-22 ნოემბრის [illegible] ინფორმაცია ოზურგეთის სკოლის პედაგოგების გაფიცვის შესახებ. მათ რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასი არ მიუღიათ. ასეთ პირობებში ატესტაციის რეიტინგული მიდევლი რომ გააცნოთ, სიცილით მოკვდებიან. რა დროს ატესტაციაა, როცა კუჭი შიმშილით უხმებათ. არც სხვა რეგიონებშია უკეთესი მდგომარეობა. საქართველოს განათლება დაიღუპა მაშინ, როცა იგი ბიზნესისა და კომერციის ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ფულის კეთების წყაროდ იქცა. აქ დევს განათლებაში არსებული დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობის მთავარი მიზეზი.

გადავხედოთ საატესტაციო დებულებას. მის მესამე თავში („საატესტაციო ჯგუფები და კომისიები") ვკითხულობთ: პედაგოგიური კადრების ატესტაციას ატარებს სასწავლო დაწესებულების საატესტაციო ჯგუფი 7-15 კაცის შემადგენლობით. ეს ჯგუფები აფასებენ თავიანთ კოლეგებს ატესტაციის პირველ ეტაპზე, რომელიც გულისხმობს პროფესიული ოსტატობის დონეს, პროფესიული საქმიანობის შედეგს, შემოქმედებითი დამოკიდებულებას საქმისადმი, კომუნიკაბელობას, თანამშრომლობის კულტურას, შრომითი საშემსრულებლო დისციპლინის დონეს. გადასახედია ის კრიტერიუმიც, რომლითაც ფასდება საატესტაციო პარამეტრები. კიდევ ერთი, სკოლებში სხვადასხვა სპეციალობის პედაგოგებს გაუჭირდებათ თავიანთი კოლეგების ამ პარამეტრებით შეფასება.

სამეცნიერო ცოდნის დონის დამდგენ ტესტებში დაშვებულია საკმაოდ უხეში შეცდომები, მაგრამ ეს მსჯელობის სხვა თემაა. პედაგოგიური კადრების ატესტაციის რეიტინგული მოდელი პედაგოგთა ფართო აუდიტორიის მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო. უპრიანი იქნებოდა, სწორედ მისი საფუძვლიანი განხილვის შემდეგ დაწყებულიყო ეს კამპანია განათლების მუშაკთა წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, არცერთი ღვაწლმოსილი, ხანგრძლივი სტაჟის მქონე პედაგოგი არ დაეთანხმებოდა დებულების იმ პუნქტს, სადაც წერია „მუშაობის სტაჟის, სამეცნიერო ხარისხის, დამსახურებისა და ადრინდელი ატესტაციის შედეგად მინიჭებული კატეგორიის მიუხედავად, მასწავლებელი, რომელიც უარს ამბობს ატესტაციაზე, თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან".

თუ ეს მასწავლებელი ავტორიტეტული პედაგოგია, განათლების დამსახურებული მუშაკია, წლის საუკეთესო პედაგოგადაც იყო დასახელებული, მინიჭებული აქვს კატეგორია- რატომ არის მისთვის აუცილებელი ატესტაცია?

ალბათ, მკითხავენ, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობაო? იმიტომ, რომ ამით უგულებელყოფილია ყველაფერი, რაც ასეთ პედაგოგს წლების განმავლობაში უკეთებია. ეს შეურაცხმყოფელია. რაღაცას მაინც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში?

ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა განიხილოს კანონი განათლების შესახებ. ისიც ცნობილია, რომ არსებობს რამდენიმე პროექტი. უპრიანი იქნებოდა, ამ კანონის მიღების შემდეგ ჩატარებულიყო ასე გახმაურებული პედაგოგთა ატესტაცია.

-თუმცა შეიცვლიდა კი ეს რაიმეს?..

## ადიდებს სული ჩემი უფალსა

# პირჯვრის გადაწერისა და ჯვრის ტარების შესახებ



*პირჯვრის გადაწერისა და ჯვრის ტარების შესახებ გვესაუბრება გელათის მონასტრის*

*ბერი მიქაელი (ბრეგვაძე)*

ძველი აღთქმის ეკლესიის წესებით მორწმუნეები ღვთის პატივისცემისა და მისი სჯულის ხსოვნისათვის ყელზე, თითებზე, წელზე და შუბლზე იბამდნენ ღვთის სახელითა და სჯულის მცნებებით წარწერილ ლენტებს. ახალ აღთქმაში კი ეს სიწმინდეები შეიცვალა ჯვრის ტარებითა და გამოსახვით.

ქრისტიანებისათვის ჯვრის გამოსახვა ის ორლესული მახვილია, რომელიც ხმარებისას ცალ მხრივ გალესილი მახვილივით შეზღუდული კი არ არის, არამედ ყოველი მხრივ მჭრელია. ანუ ქრისტიანები ჯვარს დროისა და გარემოების გათვალისწინებით, შინაგანი მდგომარეობის შესაბამისად გამოისახავენ. მაგალითად: წმიდა **სვიმეონ ღვთისმეტყველის** სწავლებით **ჯვარი საკურთხევლად იქცა მაშინ, როდესაც მასზე ქრისტემ შესწირა თავი (ებრ. 9,12). ე.ი. ჩვენს სხეულზე გამოსახული ჯვარი არის ქრისტეს საკურთხეველი, ხოლო ჩვენი სხეული ამ წმიდა ტრაპეზზე შესაწირად წარდგენილი სხეული მსხვერპლია** (ფსალმ. 50, 19). ეკლესიების ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურული სტილიც ამასვე მოგვანიშნებს.

ჯვრის გამოსახვის წესი უძველესი დროიდან, მოციქულებიდან მოდის. იგი იმდენად ცოცხალი და უწყვეტ გადმოცემად ითვლებოდა რომ ძველი კომენტატორები მასზე დაწვრილებით არც გვესაუბრებიან. მწვალებლებიც კი, რომლებიც ეკლესიას სხვადასხვა დოგმატურ სწავლებებში არ ეთანხმებოდნენ, თავიანთ რიტუალებში ეგვიპტეში და ფართოდ იყენებდნენ ღვთისმსახურებისათვის დამახასიათებელ ჯვრის გამოსახვის წესებს. უკვე მე-2 საუკუნეში, ტერტულიანეს „და ბასილი დიდის მოწმობით ქრისტიანები ამ საქციელით იწყებდნენ ლოცვასა და ყოველ ახალ საქმეს. ამით ისინი აღიარებდნენ ჭეშმარიტებას და უშიშრად წარმოაჩენდნენ თავს ქრისტესათვის შეწირულად. ასე ემზადებოდნენ წამების წინ წმ. მოწამეებიც – ჯვარს იწერდნენ და თითქოსდა წმიდა სამსხვერპლოზე მიტანილნი იწირებოდნენ. ასე ვიქცევით ჩვენც, როდესაც ღმერთს ლოცვებს ვწირავთ, ან გალობებისას, როცა ვიწყებთ პირჯვარისწერით დღეს უფალს შევწირავთ და მხოლოდ მას მივუძღვნით. სხვა სწავლებით, **ჯვრის გამოსახვისას თავად ქრისტეს გამოვისახავთ ჯვრის ფორმაში ისე, როგორც გაკვრა.** ამ შემთხვევაში ჯვარი ანთროპომორფული გამოსახულებაა და ჯვარცმულს განასახიერებს. ჩვენს სხეულზე **ჯვრის გამოსახვით თითქოსდა მაცხოვარს, როგორც ფარს ვიფარებთ.** შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ბერძნული (χριστος), ქართული ([illegible]), რუსული (**христос**) და სხვა მრავალ ენაზე უფლის სახელის პირველი ასო ჯვრის გამოსახულებაა და მხსნელის სახელი ჯვრის, ხსნის იარაღის მსგავსი ასოთი იწყება.

კიდევ სხვა გაგებით, განზე ხელაპყრობილი ჯვარცმულის დგომა კურთხევის ჟესტიცაა. „ძველი აღთქმის მამები ამ ფორმით აკურთხებდნენ ღმერთს და მღვდლებიც ამ მდგომარეობაშივე ითხოვდნენ კურთხევას. ხალხის კურთხევისათვის ეს ჟესტი გამოიყენებოდა ძველი აღთქმის წმიდათა წმიდას თხუთმეტ საფეხურიან აღსავალზე, სადაც ხელაპყრობილი მღვდელმთავარი ჯერ ღმერთს, ხოლო შემდეგ ხალხს აკურთხებდა (ფსალმ. 133, 2-3).



ხშირად ხატმწერებიც როგორც ქვეყნის მაკურთხებელს, ჯვარცმული მაცხოვრის ხელის თითებს სამღვდელმთავრო ფორმით გამოსახავენ. ზეცად ამაღლებისას ამგვარადვე აკურთხა უფალმა მოწაფეები (ლუკა 24,50). ამიტომ ახალ აღთქმაში სულიწმიდის[illegible]აგან კურთხევის [illegible] განსაკუთრებული ფორმები დაწესდა. მაგალითად: როდესაც ორი, გაშლილი საჩვენებელი და შუა თითი მღვდელი სახავს ჯვარს, სადაც ეს თითები ღვთაებრივი და კაცური ბუნების მქონე ჯვარცმულს აღნიშნავს, გადაეცემა კურთხევა. ხოლო როდესაც ჩვენ, სამების აღმნიშვნელი ერთად შეკრული სამი თითით ვიწერთ ჯვარს და დარჩენილი ორი მოკეცილი თითით ქრისტეს ორ ბუნებას აღვნიშნავთ, მაშინ ვასრულებთ ჯვრით მადლის მიღების წესს და ვიღებთ კურთხევას.

ადამიანი ღმერთმა თავის ხატად შექმნა. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენი მარჯვენა ხელი განასახიერებს ღვთის მარჯვენას (ფსალმ. 137,7), სამი თითი სამების ხატია, ხოლო ორი– განხორციელებული ღმერთკაცისა და ამ სარწმუნოებით შეიარაღებულნი გამოვისახავთ რა პირჯვარს ვიღებთ უფლის კურთხევას ჩვენზე, რათა ღვთაებრივი მადლით აღივსოს ჩვენი სხეული, რომელიც არის ტაძარი სულიწმიდისა (I კორ. 3,16).

პირჯვრის გადაწერისას ჩვენს სხეულზე გამოსახული ჯვრის ოთხი ბოლო ნიშნავს, რომ ვიღებთ კურთხევას გონების, შინაგანი გრძნობების, სულიერი და ხორციელი ძალებისათვის. მსგავსად მაცხოვრის მოწოდებისა: "შეიყვარო უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა" (მარკ. 12,30).

ბუნებრივია, ქრისტიანები ძალიან ხშირად იყენებენ ჯვართან დაკავშირებულ წესებს, თუმცაღა **წმ. ბარსანუფი დიდის სწავლებით ჯვრის ძალა იმდენად დიდია რომ, საკმარისია დღეში თუნდაც ერთხელ გადაიწეროთ პირჯვარი** (პასუხი 435-ე კითხვაზე). აქედან გასაგებია ყელზე ჯვრის ტარების მნიშვნელობაც, რომელზეც ცნობები უძველესი დროის ქრისტიანთა ცხოვრებებში მოიპოვება (წმ. ორესტის ცხოვრება).

ჩვენს ყელზე დაკიდებული **ჯვარი არის ქრისტეს უღელი, მისადმი სიყვარულის ნიშანი** (I კორ. 2,3), **ჩვენი მფარველი, თანამზრახველი და განმწმენდელი საკურთხეველი (მათე** 23,19). „და დაიდგენ იგინი თხემსა შენსა ზედა მარადის და შეაბენ ყელსა შენსა, რაჟამს ხვიდოდე, წარიხუენ იგინი, და შენთანა იყუნენ და, რაჟამს გეძინოს, გცვიდენ შენ და რათა, რაჟამს აღსდგე, თანაგზრახვიდეს შენ" (იგავთა 6, 21-22).

წმ. მამათა განმარტებით, **ჯვარი იმ სიცოცხლის ხესაც განასახიერებს, რომელიც სამოთხის შუაგულში ყვაოდა, ჯვარცმული ქრისტე კი– მისი ნაყოფია.** ასევე სიცოცხლის ჩვენს ყოფიერებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ხოლო სიცოცხლის მფლობელი და მომცემელი არის ქრისტე, რომლის ზიარებად ღმერთმა ღირს გვყოს ყოველნი. ამინ.

---

**შეცდომის გასწორება**

"ბე" №11 (16)-ში მე-5 გვერდზე II აბზაცში უნდა იკითხებოდეს ასე როგორც ვიცით, **ადამის ნეკნისაგან გამოსული პირველ დედის.**

**21 ნოემბერი** (ახალი სტილით 4 დეკემბერი) - ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

**4 დეკემბერი** (ახალი სტილით 17 დეკემბერი) - ხსენება წმ. დიდისა მოწამისა ბარბარესი.

**6 დეკემბერი** (ახალი სტილით 19 დეკემბერი) - ხსენება წმ. მირონ მამისა ჩვენისა ნიკოლოზ მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა, საკვირველთმოქმედისა.



# ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა ათორმეტთაგან ერთ-ერთი უძრავი დღესასწაული და ეზეიმობთ მას 21 ნოემბერს (ახალი სტილით 4 დეკემბერს).

ყოვლადწმიდა მარიამის მშობლებს ალთქმა ჰქონდათ დადებული, თუკი შვილი მიეცემოდათ, ღმერთისათვის შეეწირათ. 3 წლის მარიამი მშობლებმა აღთქმისამებრ **იერუსალიმის ტაძარში** მიიყვანეს. მათ უხმეს ნათესავებს და გალობითა და ანთებული სანთლებით გაემართნენ ტაძრისაკენ. მშობლებმა მარიამი დასვეს კიბის პირველ საფეხურზე. მღვდელმთავარი ზაქარია სამღვდელოებასთან ერთად გამოეგება მათ. პატარა მარიამმა სასწაულებრივად სწრაფად აიარა კიბის თხუთმეტი საფეხური და მღვდელმთავართან მივიდა. მან კი მომავალი ღვთისმშობელი პირველად ეკლესიაში შეიყვანა, სადაც ქალი ვერ შედიოდა და ბოლოს შეიყვანა **წმიდა წმიდათაში**, სადაც წელიწადში ერთხელ მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა შესვლის უფლება.

ყოვლადწმიდა ქალწული მშობლებმა ტაძარში დატოვეს. მღვდელმთავარმა მარიამი იერუსალიმის ტაძართან დაასახლა, იქ იზრდებოდა იგი და მსახურებდა ეკლესიაში. ამას ვდღესასწაულობთ 21 ნოემბერს (ახალი სტილით 4 დეკემბერს) და ვუწოდებთ **ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას**.

# ბარბარობა

წმიდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავენ საქართველოში. ქალწულმოწამე ბარბარე ქართველი ერის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს.

წმ. დიდმოწამე ბარბარე მე-4 საუკუნის დასაწყისში, იმპერატორ **მაქსიმიანეს** დროს ცხოვრობდა. ის იყო ასული ცნობილი მდიდარი და წარჩინებული მოქალაქისა, წარმართი **დიოსკორესი**. ბარბარე არაჩვეულებრივი სილამაზისა იყო და მამამ უცხო თვალისაგან დაფარულად, ციხე კოშკში აღზარდა. კოშკიდან იგი ხშირადათვალიერებდა თვალწარმტაცი გარემოს და თანდათან განუმტკიცდა აზრი, რომ ასე ჰარმონიულად უსულო კერპები ვერ შექმნიდნენ სამყაროს. ბარბარეს ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობის სურვილი გაუჩნდა და გადაწყვიტა ამ მიზნისათვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება. იგი უარს აცხადებდა გათხოვებაზე მამამ კი მისი კარჩაკეტილი ცხოვრების წესის მოაწყინა და კოშკიდან თავისუფლად გამოსვლის ნება დართო. ქალაქში ბარბარემ ქრისტიანი ქალიშვილები გაიცნო და ცოტა ხნის შემდეგ საიდუმლოდ მოინათლა კიდეც.

დიოსკორე სახლში მდიდრულ აბანოს აშენებდა. მამის არყოფნის დროს ბარბარემ მუშებს სამების მადლის აღსანიშნავად ორის ნაცვლად სამი სარკმელი გააკეთებინა. შესასვლელში კი თვით გამოსახა წმიდა ჯვარი, რომელიც ქვაზე წარუშლელად აღიბეჭდა. ქალწულის ნაფეხურები ქვის კიბეზე აჩნდა. შემდეგში ამ ნაფეხურებიდან სამკურნალო წყარომ წყალმა ამოხეთქა. დიოსკორემ ამ ცვლილებების გამო უკმაყოფილება გამოთქვა. შვილმა კი თავისი გაქრისტიანების ამბავი უამბო და კერპთაყვანისმცემლობის ამაოებაზე დაუწყო საუბარი. განრისხებულმა დიოსკორემ მახვილი იძრო და უნდოდა თავი მოეკვეთა ქალიშვილისათვის, მაგრამ ბარბარე გაექცა მახვილით გამოდევნებულ მამას. ისინი მთას მიადგნენ, რომელიც შუაზე გაიპო და ქალწულმა ნაპრალში შეაფარა თავი. აქ იგი საკმაო ხანს ცხოვრობდა, მაგრამ მამამ მწყემსების საშუალებით მიაგნო ქალიშვილის სამალავს. მან წამოიყვანა ბარბარე, სასტიკად აწამა, შემდეგ დილეგში ჩააგდო, დიდხანს აშიმშილა და რაკი ვერ დაათმობინა ქრისტიანობა ქალაქის მმართველ მარტიანეს გადასცა. მან კი დიდხანს სასტიკად აწამა წმიდა ქალწული. მის წამებას იდუმალად ქრისტიანი მოქალაქეებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო **წმიდა იულიანაც**, რომელმაც ვერ მოითმინა ბარბარეს წამება, საჯაროდ აღიარა თავისი ქრისტიანობა და ხმამაღლა დაუწყო მტარვალებს მხილება. ამიტომ ისიც წმიდა ბარბარესთან ერთად აწამეს და რაკი ვერ შეაცვლევინეს რწმენა, ორივე ქალწულს თავი მოჰკვეთეს. წმიდა ბარბარეს საკუთარმა მამამ მოჰკვეთა თავი. ორივე მტარვალი, დიოსკორეც და მარტიანეც ციდან მოვლენილმა ცეცხლმა მოაშთო.

წმიდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას ეკლესია აღნიშნავს 4 დეკემბერს (ახალი სტილით 17 დეკემბერს). მასთან ერთად იხსენიება წმიდა ქალწული იულიანაც.

# ნიკოლოზობა

წმიდა მღვდელმთავარ **ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის** ხსენებას ეკლესია აღნიშნავს 6 დეკემბერს (ახალი სტილით 19 დეკემბერს).

წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი დაიბადა ლუკიის მხარის ქალაქ **პატარში** (მცირე აზია). მის მშობლებს დიდხანს შვილი არ ეძლეოდათ და აღთქმა დადეს, თუკი შვილი ეყოლებოდათ, ღმერთს მიუძღვნიდნენ. ყრმა ნიკოლოზის შობისთანავე დედამისი ნონა, რომელიც სნეული ქალი იყო, სრულიად განიკურნა [...] დროსაც აღესრულა [...] შეწირეს [...] ფეხზე იდგა. საკვირველი ცხოვრება მან ადრიდანვე დაიწყო. მშობლები მწუხრის ლოცვის დასრულების შემდეგ მხოლოდ დღეში ერთხელ მიიღებდა ხილეულ დღეს რძეს.

სიყრმიდანვე წმ. ნიკოლოზი სწავლობდა საღმრთო წერილს. წმინდანის ბიძამ, პატარის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა იგი მედავითნედ დაადგინა ეკლესიაში. შემდეგ კი სამღვდელო ხარისხში აიყვანა. სასწაულებრივი იყო მისი ეპისკოპოსობაც. სიზმრისეული ჩვენებით მას თვით უფალი გამოეცხადა და ძვირფასად შემკული სახარება გადასცა. ასევე გამოცხადებულმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა სამღვდელმთავრო ომოფორი უწყალობა. მალე ნიკოლოზი მირონ-ლუკიის ეპისკოპოსი გახდა და თავისი ცხოვრებით სიმშვიდის, სიკეთისა და მოყვასის სიყვარულის მაგალითი იყო მრევლისათვის.

დიოკლეტიანეს მეფობის დროს (284-305), როცა ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო, სხვა მორწმუნეებთან ერთად მღვდელმთავარი ნიკოლოზიც შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს. ამ დიდი განსაცდელის დროს ღმერთმა წმინდანი უვნებლად დაიცვა.

მღვდელმთავარი ნიკოლოზი 325 წელს მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელზეც საღმრთო სიმბოლო (მრწამსი) მიიღეს.

წმ. ნიკოლოზი სიცოცხლეშივე აღასრულებდა სასწაულებს. მან თავისი ლოცვა-ვედრებით მირონ-ლუკია შიმშილობას გადაარჩინა.

წმ. მღვდელმთავრის ხელით განსაცდელისაგან რამდენიმე ისხნა მოგზაურები, მრავალი ჩაცვივნების თუ საპყრობილედან გაათავისუფლა მორწმუნე ადამიანები.

წმ. ნიკოლოზი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

წმ. სასწაულმოქმედი მღვდელმთავრის სახელი მთელ ქვეყნიერებას მოედო. თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში არის მის პატივსაცემად ტაძრები, განსაკუთრებით კი მას ადიდებენ რუსეთსა და საქართველოში.

წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზი ქართული ეკლესიის მფარველად ითვლება.



რუბრიკას უძღვება
ნინო კვანტალიანი

ხუზე ნაკვეთი ჯვარისა და ხატის
ავტორი ბიორგი ცარციძაძე.

ადიდებს სული ჩემი უფალსა

ქრისტიანული სიმბოლიკა

# მზის სიმბოლოს ქრისტიანული მნიშვნელობა

პოლითეისტური რელიგიებისაგან განსხვავებით ქრისტიანობის განმსაზღვრელი არის ერთი ღმერთი, რომელიც „ყოველთა შორის იცნობების". იგი „ყოველთავე არსთა მიზეზ არს, ხოლო თვით-არცა ერთი მათგანი".

ღმერთის ყველაფერში განფენილობის იდეა უფლებას აძლევს ქრისტიანობას, ყოველი ნივთი, ყოველი საგანი გამოიყენოს სიმბოლოდ. იგი ყველა სიმბოლოს მხოლოდ თავ-თავისი შინაარსით იყენებს.

კარგად ცნობილია მზის სიმბოლოს ქრისტიანული მნიშვნელობა. მზე ღვთის ერთ-ერთი სახეა, „ხილვაა და ჩვენება დაფარულისა". იგი არის ის ზეარსი, რომელმაც ძე თვისი მოუვლინა ქვეყანას, კაცობრიობას. იგი გამოსცემს სითბოს, ეს სითბო ყველგანაა, სადაც კი მისი ნათელი აღწევს. მზის სიმბოლოს გააზრებისათვის საჭიროა, გავიხსენოთ სახარებისეული ეპიზოდი, როცა მაცხოვარმა „წარიყვანა პეტრე, იაკობ და იოანე მთასა მაღალსა და იცვალა ფერი მათ წინაშე სხუად ფერად და გამობრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი". (მათე 17.1-2).

ჩნდება კითხვა: **რატომ დასჭირდა ღმერთს, თავისი თავი მზედ წარმოესახა საყვარელი მოწაფეებისთვისაც კი**, განა მათ თავად არ უნდა სცოდნოდათ, რომ მაცხოვარი ღმერთი იყო, ყველასა და ყველაფერზე აღმატებული?

ცოდვით დაცემულ ადამიანს აღარ ჰყოფნიდა გონების თვალის სინათლე (რომელიც დაკარგა მან ღვთის მცნების დარღვევის გამო), თვალი გაესწორებინა უზეშთაესი ნათლისათვის. მოციქულებიც მიწიერი თვალებით აღიქვამდნენ ღმერთს, რადგან ისინიც „უსჯულოებათა და ცოდვათა შინა იშვნეს დედათაგან მათთა". ამიტომ მაცხოვარმა თავისი თავი ადამიანთათვის ყველაზე მიუწვდომელ საგანს დაუკავშირა. უფრო მეტიც, ქრისტე მამით და სული წმიდით-ურთ, მზეზე უბრწყინვალესი ნათელია, მასზე უმხურვალესი მხურვალებაა, უსხივოსნესი სხივია. იგი მზის სახეს იღებს მხოლოდ ჩვენთვის, კაცთათვის. ჭეშმარიტად ღვთიური ნათელი კი განსხვავდება მიწიერისაგან (მზისგან), რომელიც ცოდვით დაცემულმა, სამოთხის ნათელს მოკლებულმა ადამიანმა შემთხვევით გააღმერთა. **წინასწარმეტყველი ესაია** ამბობს: "მთვარის ნათელი მზის ნათლისებით იქნება და მზის ნათელი გაშვიდკეცდება შვიდი დღის ნათლისებით" მეორედ მოსვლის ჟამს (ესაია 30.26). აქედან ცხადდება, რომ სწორედ მეორედ მოსვლის ჟამს წარმოჩნდება უფალი ჩვენი იესო ქრისტე მთელი თავისი სინათლით, იმ სინათლით, რომელიც მზის ნათელზე ბევრად აღმატებული იქნება.

მზის სახით იხილა იოანემაც მაცხოვარი: „და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და თუალნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაი... და პირი მისი, ვითარცა მზე, ბრწყინავს ძალითა თჳსითა" (გამოცხ. 1. 14-16).

მზის სიმბოლოს ქრისტიანულ მნიშვნელობაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ცნობილი სტრიქონები:

„მარტივო, სრულო, სამმზეო, ერთცისკროვნებაო,
განმანათლე მხედველობაი სულისაი,
რაითა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაითა,
სულითა ღვთისაითა ძე გამოგებრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა".
(„გალობანი სინანულისანი")

აქ ყურადღებას იპყრობს სამმზეერთცისკროვნების ცნება. როგორც ცნობილია, ერთი მზის წარმომაჩენელი სამი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი: დისკო, სხივი და სინათლე, მამას, ძესა და სულიწმიდას გამოხატავს. დავით აღმაშენებელიც ღვთაების ერთცისკროვნება-სამმზედ ასახვისას ქრისტიანულ თეოლოგიას ეყრდნობა. **იოანე დამასკელი** ეტყვის: "არცა სამსა ღმერთსა ვიტყვით- მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, არამედ უფროისღა ერთსა ღმერთსა, წმიდასა „სამებასა ერთისა მიმართ მიზეზისა აღყვანებითა ძისა და სულისაითა. „გალობანი სინანულისანის" ავტორი სინანულის (რომელიც ცოდვათაგან განწმედის ერთ-ერთი გზაა) შემდეგ „თუალთა სულისათა" ახილვას ითხოვს ღვთისაგან, რათა ისევე იხილოს „ნათელი ნათლითა უფლისაითა", როგორც იგი მისმა მოწაფეებმა იხილეს, ოდეს ფერი იცვალა მთასა ზედა.

მზეს ქრისტეს სიმბოლოდ წარმოაჩენენ სხვა ქართველი ჰიმნოგრაფებიც. ისინი სხვადასხვაგვარად აღიდებენ „მზეს სიმართლისას, რომელიც საშოისაგან ქალწულისა გამობრწყინდა მსხლომარეთათვის ბნელთა და აჩრდილთა სიკუდილისათა".

მზის სიმბოლოს ვხვდებით **დემეტრე-დამიანეს** ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ იამბიკოშიც: **„შენ ხარ ვენახი"**, სადაც მზე ანუ ღმერთი ვენახის ანუ ღვთისმშობლის თავად არის წარმოდგენილი. ღვთისმშობელი ის „ვენახია რქაშვენიერი" (ანდრ. კრიტელის ღვთისმშობლის შობისათვის), რომელიც „ანაისაგან აღმოსცენდა და გამოიღო ტევანი სიტკბოებისა", ძალი ამისათვის კი მან მიიღო მზისაგან- ღვთისაგან, რომელმაც „მზევებრ განაბრწყინა იგი" (რ. სირაძე) და სწორედ ამიტომაცაა თავი მისი.

ქრისტიანულ სახისმეტყველებაში მზედ მოიხსენიება არა მხოლოდ ღმერთი (მამა, ძით და სულიწმიდითურთ), არამედ ღვთისმშობელიც. მზის სახელს უკავშირებენ ყველას, ვინც თავსა შინა თვისსა არა დაუტევა ბნელი, რათა სრული ნათლით შემოსილიყო.

„დაუსაბამოისა მზისა ნათლისა ნათლისღებათა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მაჟნებელნი სულნი ბოროტნი და მზეებრ ნათობენ ნათელღებულნი ადამეანნი" ("დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა პაპოისნივე").

მარიამ (მარიტა) გოდუაძე

ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

# აბიტურიენტის ფურცელი



## 22. ღია და დახურული მარცვალი. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები.

**მარცვალი** ეწოდება ერთ ბგერას (ხმოვანს) ან რამდენიმე ბგერისაგან (ერთი ხმოვნისა და ერთი ან რამდენიმე თანხმოვნისაგან) შედგენილ ჯგუფს, რომელიც პაერის ტალღის ერთი ამოდებით გამოითქმის. მაგალითად, სიტყვაში "ძმა" ერთი მარცვალია, სიტყვაში "დე-და" - ორი, "მა-სწავ-ლე-ბე-ლი" - ხუთი და ა.შ. მაშასადამე, სიტყვა შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი და ა.შ. თუ დავუკვირდებით ნათქვამს, იმასაც შევნიშნავთ, რომ **სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიცაა ხმოვანი.** მაგალითად, სიტყვაში "დაუმეგობრ" 6 ხმოვანია, ეი სიტყვა ექვსმარცვლიანია.

შეიძლება სიტყვაში ერთმანეთის გვერდით ერთი და ოგივე ხმოვანი იყოს, მაგალითად, გაათავისუფლა: ცხადია, ასეთი ცალ-ცალკე შექმნიან მარცვალს (გა-ა-თა-ვი-სუფ-ლა).

შეიძლება სიტყვა რამდენიმე თანხმოვანს შეიცავდეს, მაგალითად, "მთქმელს", მაგრამ იგი მაინც ერთმარცვლიანი იქნება, რადგან ხმოვანი მხოლოდ ერთია.

ერთმარცვლიანია: მე, შენ, ცა, მზე, რკო, ბე.

ორმარცვლიანია: მა-მა, კა-ცი, წყა-ლი, ბე-დი, ძველ-თხი...

სამმარცვლიანია: სა-ხე-ლი, შე-ხვედ-რა, გა-რე-შე.

ოთხმარცვლიანია: გან-შო-რე-ბა, სა-პოვ-ნე-ლი, შე-მოწ-მე-ბა...

ხუთმარცვლიანია: სა-ხე-ლო-ვა-ნი, გა-მო-ჩე-ნი-ლი, გა-სა-ო-ცა-რი...

ექვსმარცვლიანია: გა-ხა-კე-თე-ბე-ლი, თავ-გა-და-სავ-ლე-ბი...

შვიდმარცვლიანია: გა-ბედ-ნი-ე-რე-ბუ-ლი, გა-უ-ბე-დუ-რე-ბუ-ლი...

რვამარცვლიანია: გა-სა-შა-ლა-ში-ნე-ბე-ლი... და ა.შ.

დასაწყისი იხ. „პე" №2(7)-11(16)

მარცვალი შეიძლება ხმოვანზე თავდებოდეს, შეიძლება- თანხმოვანზე თუ მარცვალი ხმოვნით მთავრდება, **ღიაა**, თუ თანხმოვნით- **დახურული**. მაგალითად, თა-ვი-სუფ-ლე-ბა. ეს სიტყვა ხუთმარცვლიანია, პირველი (თა-), მეორე (-ვი-), მეოთხე (-ლე-) და მეხუთე (-ბა) **ღია მარცვალია**. მესამე კი (-სუფ-) - **დახურული მარცვალი**. სიტყვაში "მე-შა" ორივე მარცვალი ღიაა, სიტყვა "ეზხელებ-დეთ" ორ დახურულ მარცვალს შეიცავს.

ქართული ლექსის სტრიქონში შესაძლოა მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობა შევხვდეს, "უფრო ხშირად რვა-რვა ან ათ-ათი (გარკვეული თექვსმეტ-თექვსმეტი ან ოცი-ოცი)" (ა. შანიძე).

გავიხსენოთ ქართული პოეზიის მწვერვალებიდან ტაბიძის ლექსთა სტრიქონები, რომლებიც მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობას შეიცავენ.

(თვალსაჩინოებისათვის სტრიქონებს მარცვლებად დავშლით).

ხუთმარცვლიანი: "ძვე-ლი სი-ო-ნი,

# ქართული ენა

დინ-ჯი, ზეთა-ა-დი,

მზე-რა-დი-ა-დი,

პქრიდ-ნენ სი-ო-ნი"...

ექვსმარცვლიანი: "მე-ხე-დე რა ცა-ა,

ე-სა-ა რა-ცა-ა..."

შვიდმარცვლიანი: "ა-თოვ-და ზამ-თრის ბა-ღებს.

მაპ-ჭონ-დათ შა-ვი კე-ბი

და შლი-და ბა-ი-რა-ღებს

იმა-გა-წე-წი-ლი ჭა-რი..."

რვამარცვლიანი: "ვარ გე-ნი-ა რი-მა-ნე-ლი,

მეს-მის ქარ-თა მქუ-ხა-რე-ბა,

მე-ფი-ნე-ბა წვი-მა ცე-ლი

და დე-მო-ნის მწუ-ხა-რე-ბა..."

ცხრამარცვლიანი: "ქა-რი ქრის, ქა-რი ქრის, ქა-რი ქრის...

ფოთ-ლებ-ბი მი-ჰქი-ან ქარ-და-ქარ,

ხე-თა რიგს, ხე-თა ჯგარს რკა-ლად ხრის...

სა-და ხარ, სა-და ხარ, სა-და ხარ?..."

ათმარცვლიანი: "დღე-და-ო ღვთი-სავ, მზე-ო მა-რი-ამ,

რო-გორც ნა-წვი-მარ სი-ლა-ში ვარ-დი,

ჩე-მი ცხოვ-რე-ბის გზა სიზ-მა-რი-ა

და მო-რე-ვე-ლი ცის სი-ლაჟ-ვარ-დე".

თერთმეტმარცვლიანი: "სე-ლი გქონ-დეს ე-სპე-ტა-კეს თოვ-ლი-სა!

მე-გობ-რე-ბო, სი-კვდი-ლი-მდე მექ-ნე-ბა მხო-ლოდ ერ-თი სი-ხა-რუ-ლის შვე-ნე-ბა:

პო-ე-ზი-ა - უ-პირ-ვე-ლეს ყო-ვე-ლი-სა!"

თორმეტმარცვლიანი: "მზე-ო თი-ბა-თვე-სა, მზე-ო თი-ბა-თვე-სა,

ლოც-ვად მუხლ-მო-ყრი-ლი გრი-ალს შე-ვედ-რე-ბი,

ი-გი, ვინც მი-ყვარ-და დი-დი სი-ყვა-რუ-ლით,

ლოც-ვით და-ი-ფა-რე, ამას გე-ვედ-რე-ბი".

ცამეტმარცვლიანი: "და-ი-ღუ-პა ის ხო-მალ-დი დი-დი ხა-ნია,

ი, რამ-დე-ნი მწუ-ხა-რე-ბა ა-მი-ტა-ნი-ა!

ი-გი არ შეიძლება, რო-გორც ჩვე-ნე-ბა

და ღელ-ვა-ში არ აქვს ძი-ლი და მო-სვე-ნე-ბა..."

თოთხმეტმარცვლიანი: "ჯერ ა-რას-დროს არ შო-ბი-ლა მთვა-რე ა-სე წყნა-რი!

მწუ-ხა-რე-ბით შე-მო-სი-ლი შე-ღა-მე-ბის ქნა-რი

ქრიდ-ვით ი-წვევს ცის-ფერ ლან-დებს და ხე-ებ-ში აქსოვს,

ა-სე ჩუ-მი, ა-სე ნა-ზი ჯერ ცა მე არ მახ-სოვს".

თხუთმეტმარცვლიანი: "მთვა-რემ და-მე გა-ა-თი-ა, კრთე-ბა შუქ-თა დი-ნე-ბა,

და-მის სა-მი სა-ა-თი-ა, შენ კი არ გე-ძი-ნე-ბა".

თექვსმეტმარცვლიანი:

"მე-საფ-ლა-ვე, შენ ამ-ბობ, რომ ქვე-ყა-ნა-ზე ვინც კი კვდე-ბა,

იმ წუთ-ში-ვე მი-სი ჩრდი-ლი ყვე-ლა ჩვენ-განს ა-ვიწ-ყდე-ბა?"

მოვაგონებთ, რომ შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" თექვსმეტმარცვლიანი საძეფქში საზომითაა დაწერილი:

"რო-მელ-მან შე-ქმნა სა-მყა-რო ძა-ლი-თა მით ძლი-ე-რი-თა..."

"ი-ყო ა-რა-ბეთს რო-სტე-ვან, მე-ფე ღმრთი-სა-გან სვი-ა-ნი..."

"ნა-ხეს უც-ხო მო-ყმე ვინ-მე ჯდა მტი-რა-ლი წყლი-სა პი-რ-სა..."

"და-ჯდა წყნ-რად ან-დერ-ძი-სად, სა-მრა-ვლო-სა სა-უ-ბრი-სად..."

მთელს პოემაში, რომელიც 1957 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით 1669 სტროფს შეიცავს, მხოლოდ ერთი (771-ე) სტროფია ოცმარცვლიანი საზომით დაწერილი:

"შე-კრა წი-თე-ლი ა-სი ა-ძა-სი პი-რად მზე-მან და ტა-ნად სა-რო-მან..."

(ყველა დანარჩენი სტროფი თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონებისაგან შედგება).

თქვენ ალბათ შენიშნეთ, როგორ ხდება სიტყვათა დამარცვლა: თუ სიტყვაში ხმოვნის შემდეგ ორი ან მეტი თანხმოვანია, პირველს ჩვეულებრივ წინა მარცვალს ვაკუთვნებთ ხოლმე, დანარჩენს- მომდევნოს. მაგალითად, "ასპინძა" ასე უნდა დავმარცვლოთ: "ას-პინ-ძა" არ შეიძლება მხოლოდ ე.წ. "პარმონიული კომპლექსების" (თხ, ცხ, ჩხ, ბლ, ძღ...), მაგრამ ამჟამად სიტყვის დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები გამარტივდა. გთავაზობთ ამ წესებს "თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" მიხედვით (ბიულეტენი №3, 1987 წ.).

"სიტყვის გადატანის წესები ემყარება დამარცვლისა (ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფოლოგიური დანაწევრება) პრინციპებს.

1. ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნიანი სიტყვა არ იყოფა თანხმოვანთა სიმრავლის მიუხედავად, ერთიანად გადაიტანება, მაგალითად, **ის** და **გვბრდღვნის**.

2. ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო ხმოვანი მაინც უნდა იყოს, არ შეიძლება. მაგალითად, სიტყვის ასე დამარცვლა და გადატანა: თრთვ-ილი, თრთ-ვილი, თრ-თვილი... ფრცქ-ნიდა, ფრქ-ვნიდა, ფრც-ქნიდა... ანსამ-ბლის, ან სამბ-ლის... სწორია:

8

8 "დაუკავშირ" – იტყოდნენ სოფელში მასზე ეს მეხი ხშირად დატეხილიყო თავს მეუღლისაც და ღირსეულ სახლეულისაც და უსახლეულისაც, ამდენის უფლება მხოლოდ იმიტომ ჰქონდა მოპოვებული ოთარაანთ ქვრივს, რომ მის პირშიმთქმელობასა და პირდაპირობას სიმართლე განაპირობებდა. სიმართლე, რომლის პირისპირ ყველა უძლური იყო.

ასე ცხოვრობდა ოთარაანთ ქვრივი. ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებულად "გლეხკაცის კვალობაზე მას ბევრი შეხარბოდა". შეძლება თვალსაჩინოდ არც თავისუფალი დედაკაცის ოჯახს აკლდა "წელმაგარი კომლიაო", - ამბობს ნ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ეს ქმრის სიცოცხლეში შეძლება კი "სუქმა და სიკეთეში გაძღავა ოჯახი".

ამ ორი ლიტერატურული პერსონაჟის ერთმანეთთან შედარების დროს განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი უდროოდ დაღუპული მეუღლეებისადმი მათი ერთგულების გრძნობას. ეს მოტივი მათ გრძნობებგამჟღავნებულ სულიერ სამყაროს ინტიმურ სინაზესა და ლირიზმს სძენს. ვერც ოთარაანთ ქვრივისა და ვერც თავისუფალი დედაკაცის გულში დრომ ვერ დაშრიტა ამ ინტიმური ტკივილის წიაღში გაჩენილი ცრემლის ნაკადი.

აი, როგორ გამოხატავს ამ გრძნობას ილია: "კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გვერდებიდან ჰლოცულობით, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა, რაც ქმარი მოჰკვდომოდა. მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღს. სულთმობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთ კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაეწმინდა, რომ თვალში ცრემლი არ მოსდგომოდეს, გული არ ამოჯდომოდეს და არ ატირებულიყოს".

ხოლო ნ. ლორთქიფანიძე ანალოგიურ სიტუაციაში მეორე ქალის განცდებს ასე აღწერს: "შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი. ეზოს მიეარეხადე ქვაიხეში, ჩემს მახლობლათ, ბოსტანში გაშალა და ფეხშიშველა, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი. მოთქმა.

წრფელად, გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ისეთის შეჯიბრის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოღმა მე ავტირდი, ტირილი ზლუქუნად გადამექცა- უკრით მე შემოცხვა- ქალი კი საწყალი ადგა და თავის ნაბდიანად სახლში მიიმალა."

ასე ხატავენ ილია და ნიკო მარადიულად სულით მგლოვიარე არსებად დარჩენილ დაქვრივებულ მეუღლეთა ინტიმურ გრძნობებს.

როგორც ითქვა, ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, რითაც ოთარაანთ ქვრივი თავისუფალი დედაკაცისაგან გამოირჩევა, უსამართლობისადმი შეურიგებლობა და სიმართლის გამოქომაგების უნარია. ქვრივიცა და მისი გიორგიც ამ უნარს მხოლოდ მაშინ როდი ამჟღავნებენ, როცა უსამართლობა მათ პირადულ ღირსებებს შეეხება. "ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა, - წერს ილია, - დედასავით, - თავისი იყო, თუ სხვისა,- თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა".

ყოველგვარ თვალთმაქცობასთან და უსამართლობასთან სწორედ ამგვარი შეურიგებლობა სძენს ოთარაანთ ქვრივს გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს. მორალურ-ობასა და ზნეობრივ სრულქმნილებას.

თავისუფალი დედაკაცის ბრძოლას ბოროტებასთან კი ასეთი ფერადი და ფართო ასპარეზი არ მოეპოვება. იგი მხოლოდ მაშინ აღუდგება უსამართლობას წინ, როცა ეს ბოროტება თავად მას შეეხება. ნ. ლორთქიფანიძე ამ შემთხვევაში თავისუფალი დედაკაცის სახით ცხოვრებისეულ მოვლენათა წინააღმდეგ საზოგადოდ ამხედრებული გმირის ტიპს კი არ ქმნის, არამედ ამ უსამართლობის მსხვერპლად ქცეულ პიროვნებისას.

ოთარაანთ ქვრივის ბრძოლას სამართლიანობისათვის კი განზოგადებული ხასიათი აქვს. იგი ნათლად გააზრებული და გაცნობიერებული პრინციპებისადმი ულალატო ერთგულებით უპირისპირდება სიკეთესა და პატიოსნებას ამ "უსწორმასწორო წუთისოფელში". ამ გაგებით, ოთარაანთ ქვრივს თავისი სამოქმედო ფილოსოფიაც აქვს და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა ახსნის მისეული თვალსაზრისიც მოეპოვება. იგი ბრძოლისთვის დაბადებული პიროვნებაა, რომელიც შებრალებასა და თანაგრძნობას არავისგან მოითხოვს. პირიქით, ამას შეურაცხყოფადაც ლებულობს. თავისუფალი დედაკაცის ხასიათი კი სრულიად საპირისპირო კუთხით ვლინდება.

ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ ილიას: "ჩათლილღულა სიტყვას მარტო ჯგლოვა ჰხამიანს", - ამბობს ოთარაანთ ქვრივის შესახებ არჩილი. "ერთ გულისა უნდა სთქვას. ფერ-უმარილი რა საჭიროა".- ამ სიტყვებს თავად ქვრივი წარმოთქვამს. ხოლო მისაყვედური შვილის სიკვდილის ცრემლმორეული ოთარაანთ ქვრივის შესახებ ავტორი შენიშნავს: "ამის მეტად დედის თვალზედ შვილის ცრემლი არ ჩახა- ან იქნებ ჩახა და არ ახსოვდა: გიორგის ერთ ქვა. გაუქვავდა, რომ ხის გადმობას ხელში ჭკრისაგან დაიკვრებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ იქვა".

ქვრივმა იცის, რომ ცოდვა-მადლით საწუთროში სატკივარებისთვის ადგილი არ არის. ამიტომაც მისი ერთადერთი მეგზური ცხოვრების გზაზე მკაცრი და ფხიზელი გონებაა.

ოთარაანთ ქვრივისა და თავისუფალი დედაკაცის ადამიანურ ბუნებათა განსხვავებულობა კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობის ფინალით. სადაც მწერალმა სამაგალითოდ ხელშეწყობილი დაგვიხატა თავისუფალი დედაკაცი. ამ ფაქტს მწერლის ფსიქოლოგიური არგუმენტირება აქვს. დედის ამგვარი ქცევა მისი ცხოვრების ლოგიკურ გაგრძელებად იქცა.

თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ეს მოტივი ოდნავადაც ვერ ამცირებს იმ სულიერ სიდიადეს, რითაც თავისუფალი დედაკაცის ამგვარი ბუნება ხასიათდება. ეს არის ცხოვრების მიერ დედისთვის თავსდატეხილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი. ხოლო სიცოცხლეგამოზღრუებული ქალი თუ თავს არ იკლავს იმიტომ, რომ თვითმკვლელობა ქრისტიანული რწმენის ღალატია. ამქვეყნიური ტანჯვისაგან განთავისუფლებულად სიკვდილი მას უფალმა უნდა მოუვლინოს.

ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში მთავარი პერსონაჟის ადამიანური ბუნების ძირითადი არსი უმადურ შვილებთან დაპირისპირების შედეგად ვლინდება. "ოთარაანთ ქვრივში" კი დედასა და შვილს შორის უფრო მეტი ჰარმონიაა, ვიდრე წინააღმდეგობა.

* * *

"თავისუფალი დედაკაცის" შესახებ საუბრის დროს უთუოდ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი [illegible] შვილის მოთხრობა "[illegible] არისა", რომელსაც [illegible] წარუმძღვარა: "[illegible] თავისუფალი დედაკაცის ხსოვნას". ამ მიძღვნას რომ თავისი გამართლება, თავისი მკვეთრად გამოკვეთილი საფუძველი მოეპოვება, ამაში ადვილად დავრწმუნდებით მკითხველი მოთხრობის გაცნობით.

რ. [illegible]შვილის მიერ აღწერილი დედის ტრაგედია ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ რთულ სოციალურ პრობლემას- სოფლის დაცარიელებისა და ურბანიზაციის პრობლემას უკავშირდება. ბარბალე ბადიაურის მხატვრულ სახეში მწერალმა გამოხატა მამაპაპური კერისადმი ულალატო ერთგულების იდეა. წინაპართა ფუძის მოუშლელობა და კერის გაუცივებლობა, მამა-პაპათა საფლავების დაუვიწყებლობა და მშობლიური კუთხისადმი სიდედისწული სიყვარული- ეს გრძნობები, რომლებიც საბოლოოდ ამოძირკვავს და ჩაახშობს ახალ სოციალურ ყაიდებს შვილების გულში.

ტანჯვით და ვაებით გაზრდილი შვილები ბარბალეს ზომაზე მეტი სამსალა შესვა მას წუთისოფელმა. ბევრი რამით ჰგავს მისი ცხოვრების გზა თავისუფალი დედაკაცის თავგადასავალს. მეუღლის და ბედნიერი ცხოვრების ნაადრევად შვილებმა ქალაქში ჰპოვეს და უზრუნველი ყოფით გაღიზიანებულებმა ზურგი აქციეს მამისეულ კერას. დარჩა მარტოდმარტო დედა. უკვე მოხუცი და ჯანგატეხილი. შვილები გამუდმებით თხოვენ მას ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას.

თითქოს საფუძვლიანი არაფერი უნდა იყოს მარტოობით გულშემოხვეულ და მამა შვილთა დაუძლეველ მოხუცს ქალაქში უზრუნველი ცხოვრება და კომფორტი ელოდება. შვილებთან და შვილიშვილებთან ნებივრობა. მაგრამ ბარბალე ბადიაურს არ შეუძლია ამ ნაბიჯის გადადგმა. რადგანაც ამაში იგი ხედავს მოუტევებელ ღალატს. ღალატს ოჯახურ ტრაგიკულად დაღუპული მეუღლის დაკარგული საფლავისადმი, ღალატს ოფლითა და ცრემლით მორწყული კარ-მიდამოსადმი.

როგორ არ შეეცადა იგი გაქცეოდა თავის თავს და გადაედგა ეს ნაბიჯიც. მაგრამ ამაოდ. ჩავიდოდა კიდეც ზოგჯერ ქალაქში ამ გადაწყვეტილებით, რომ მიატოვებდა ნაკურთხეველ კერას. "დარჩებოდა ერთი სამიოდე დღე- გუ-სივდებოდა გული. ასტკივდებოდა თავი. გაუკრთებოდა ძილი. აიკრავდა თავის ბარგა-ბარხანას და წამოვიდოდა უკან წკრიპით ლოდინსხმარებში მოკრეფილი ნამტვრევ-ნუმტვრევი აანთებდა გაცივებულ ღუმელს. ეზოს დაუვლიდა. ბაღჩას დაასუფთავებდა. ბარავდა. სხლავდა. თოხნიდა. მოჰკავდა ჭირნახული თვითონ რა სჭირდებოდა? ყველაფერს შვილებს უგზავნიდა."

ამ ნასიმწარევის გარეშეც ეკონომიკურად წელგამართული შვილები ოდნავ გადიან ფონს და ბედს არ უჩივიან. მაგრამ ეს არაა მთავარი. არსებითი აქ ისაა, რომ ბარბალე ბადიაურს სხვა ცხოვრებით ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია. იგი ამ ტანჯვა-წამებაში ხედავს თავისი არსებობის გამართლებას. ესაა მისი ბედნიერება და სიცოცხლის მიზანსწრაფვა.

ნ. ლორთქიფანიძე "თავისუფალ დედაკაცში" დედასა და შვილებს შორის კონფლიქტს განზოგადებულად, ფართო ზნეო- 10

აზრი, წინადადება

# გრიგოლ რობაქიძე და ვაჟას ხამსარი

გრიგოლ რობაქიძე არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა ქართულ მწერლობაში. ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, მისი სახელი ტაბუდადებული იყო მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. გრ. რობაქიძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა კი უმჭიდროეს კავშირშია ჩვენს სამყაროსთან, ჩვენს პრობლემებთან, ჩვენს ცნობიერებასთან.

გრ. რობაქიძის შემოქმედება ღრმა კავშირშია ვაჟასეულ სამყაროსთან, რომელიც თანადმობის, ვაჟკაცობისა და ჰუმანიზმის სამყაროა.

გრ. რობაქიძემ კოტა აბაშიძის რჩევით გაიცნო ვაჟას შემოქმედება, ერთგვარი უნდობლობით მიეახლა მას და საბოლოოდ აღიარა იგი. ვაჟასთან პირველი შეხვედრა მას ასე დაამახსოვრდა:

„საუბარმა ერთ ხტილში ფილოსოფიური ხასიათი მიიღო, ალბათ ჩემგან. ვაჟა გამომყვა. გამიკვირდა, რომ გამომყვა. ხოლო ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთ ხვეულში მოსაზრებისა ჰეგელის „ლოგიკა“ იმოწმა. კამათს სიცხარე დაეტყო. „წაუღლაპარაკდით“ კიდეც უეცრად მისგან „ტონაწეული“ სიტყვა მომესმა. ყმაწვილობისას ვიყავ: უკიდურეს თავნება, უკიდურეს ურჩი, უკიდურეს თავმოყვარეგარნა არ ვყოფილვარ: მოდავე და მით უფრო შემტევი და შემპართებელი. თუმც ეს „აწეული“ ტონი, რბილად რომ ვთქვათ, „მეუცხოვა“. (შესაძლოა მეც „აეამაღლე“ ტონი და ვერ შევამჩნიე ეს). ალბათ ჩემს სახეზე სიკუშტემ ირიბულად გაიელვა. ვალერიანისათვის ეთქვა შემდგომ ვაჟას: ბოლოში მომხადე იმ ყმაწვილთან, მგონი ვაწყენიე. ცოტა ნაღვინები ვიყავით. უნდა აღვიარო: „წყენას“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – ჩემში მაშინ ადგილი არ ჰქონია“.

ეს შეხვედრა მოხდარა 1908 წლის „ნიშადურის“ რედაქციაში ვალერიან გუნიას თანდასწრებით.

გრ. რობაქიძემ სახელი გაითქვა საჯარო ლექციებით. საზოგადოებას აცადოებდა ახალგაზრდა ორატორის მიერ ქართულ ენაზე წაკითხული სერიოზული მოხსენებები, ნიცშეანიზმზე, რუსულ სიმბოლიზმზე თუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე (ქართულად რომ საჯარო ლექცია წაეკითხა, ამის ნებართვა მთავარმმართებელს უნდა მიეცა ქართველი კაცისათვის, თუნდაც აკაკის ოუბილე ყოფილიყო – ეც).

გრ. რობაქიძე იყო პირველი ქართველი მოღვაწე ლექციებით რომ ხიბლავდა თბილისისა და ქუთაისის საზოგადოებას. აკაკის აღფრთოვანებული გამოხმაურებაც იმდროინდელია. ვაჟა-ფშაველას ნამდვილი პოეტური მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის ჩემი ლექციებიდან გახდა ცნობილიო, – ამაყობდა ემიგრაციაში მყოფი გრ. რობაქიძე „ცისფერყანწელებშიც“ ვაჟას კულტი გრ. რობაქიძის გავლენით შეიქმნა. რობაქიძე „ცისფერყანწელთა“ დამრიგებელი და „უფროსი მეგობარი“ იყო. მას დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა ყანწელებში და ბევრს მაშინაც და დღესაც გრ. რობაქიძე ერთ-ერთი ცისფერყანწელი ჰგონია.

1909 წელს გრ. რობაქიძე კითხულობს ლექციას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე „ლექციაში გადმოუშალე დედაგული ვაჟას შემოქმედებისა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გადმოშლამ. ვაჟას კულტი, უნდა ითქვას, დღითგან ჩემი ლექციისა იწყება. ლექცია გავიმეორე ქუთაისში. იქაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან. წლების შემდგომ დიდი ნაწილი ამ ლექციისა ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა. რუსეთსაც მე პირველმა გავაცანი ვაჟა. ჩემი წერილი მასზე გამოქვეყნდა 1911 წლის აგვისტოს ნომერში განთქმული ჟურნალისა „Русская мысль“.

გრ. რობაქიძე გერმანიაშიც უწევდა პოპულარიზაციას ვაჟას პოეზიას.

„გველისმჭამელის“ თემამ იმდენად გაიტაცა გრ. რობაქიძე, რომ შექმნა დრამა „ლამარა“. აქ გვაქვს ვაჟასეული „ერთიერთდანდობის“ მოტივის თავისებური ინტერპრეტაციაც. დრამაში შეიძლის მკვლელად მიჩნეულ ხევსურს სიცოცხლეს ჩუქნის ქისტი ოსი. „ეს შეთხზული არაა. ასეთი რამ მომხდარიყო ჩრდილო კავკასიაში. მიამბო 1918 წელს ტფილისში აწ განსვენებულმა მხატვარმა ხალილ-ბეგ მუსაია-სულმა“ – წერს გრ. რობაქიძე.

ხოგაის მინდიას მითის თავისებური ინტერპრეტაცია მოგვცა კ. გამსახურდიამაც. ლიტერატურული მეტოქეობის ეს შესანიშნავი ნიმუშები ქართული მწერლობის სიძლიერისა და მრავალმხრივობის დასტურია.

გრ. რობაქიძის „ლამარა“ 1924 წელს დაიწერა, საბჭოთაწერო აგვისტოს აჯანყების ჩახშობის დღეებში. გრ. რობაქიძის სევდა უსაზღვრო იყო და მას „ლამარა“ დაეხმარა რწმენის შენარჩუნებაში. იგი გადმოგვცემს: „წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვინდომე „ლამარა“ უმალვე მიმეხადა მტარვალთა მიმართ ეთარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა“.

„ლამარა“ გრ. რობაქიძის უსაყვარლესი ნაწარმოები იყო. იგი არაერთხელ აღნიშნავდა: „ლამარა“ ჩემთვის პირმშოული არისაო. ამ დრამის შექმნის ისტორიაც დაწვრილებით აქვს აღწერილი სტატიაში „ლამარა“ (მოკლე ბიოგრაფია). „ვაჟას ქნგადშიც“ მასზეა საუბარი და ირ. აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილშიც, რომელიც 1962 წლით თარიღდება. მოკლედ, ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი ხშირად იხსენებდა თავის უსაყვარლეს ქმნილებას, მასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო დეტალს.

თაობებმა ისე მიიღეს განათლება მშობლიურ ლიტერატურაში, რომ არც ერთი სიტყვა არ წაუკითხავთ დიდი მწერლისა, არც ერთი მისი აზრი არ გაუთავისებიათ. ჩვენთვის ის არასოდეს ყოფილა ისე სათაყვანებელი და ახლობელი, როგორც სხვა მისი თანამედროვენი. ხომ არ დადგა დრო, სასკოლო პროგრამაში აისახოს ამ დიდი მწერლის შემოქმედება. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ამ მხრივ ყველაზე შესაფერისად „ლამარა“ მიგვაჩნია.

**ეკა ცხადაძე**

ინფორმაცია

# ქართულის სამსახურისთვის...

– ჩვენი აქ მობრძანება იმის დასტურია, რომ პატივს მივაგებთ ქართული ენისა და ლიტერატურის თავგამოდებულ მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს. ეს საღამო აუდიტორიის მადლიერების გამოხატვაა ბატონი **ზურაბ ჭუმბურიძის** მიერ გაწეული სამსახურისათვის. ბატონ ზურაბს თქვენს წინაშე წარდგენება არ სჭირდება. იგი ცნობილი მეცნიერია. ღრმა მეცნიერულ კვლევასთან ერთად პოპულარული წერაც ეხერხება. ქართველი მკითხველის საყვარელი წიგნებია: „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „რა გქვია შენ?“ (ოთხი გამოცემა), „ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“, „მადლი - დედაენისა“, „დედაენა ქართული“. დღეს, როცა მეცნიერებას უჭირს (ექვსი წელიწადია კათედრის შრომების არცერთი ტომი არ გამოსულა), როცა მთავრობა გარკვეული მიზეზების გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს მეცნიერების მსახურთ, ჩვენ მაინც არ უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი. ამიტომ მივაგებთ პატივს დღეს მეცნიერების ალმართზე შემდგარ კაცს და ორიოდე გასამხნევებელ სიტყვას ვეტყვით, – ამ სიტყვებით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა **კორნელი დანელიამ** სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 5 ნოემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადების 70 წლისთავს მიეძღვნა.

ბატონმა კორნელი დანელიამ მოკლედ ისაუბრა მეცნიერის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ.

იუბილარს მისალოცი სიტყვებით მიმართეს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გურამ კვარაცხელიამ, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორმა და ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ, პროფესორმა ბაქარ გოგოლიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალექსანდრე გვახარიამ, თსუ სოხუმის ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგემ, დოცენტმა თამარ მიქიაშვილმა, პროფესორებმა იზა ჩანტლაძემ და გურამ ბურჭულაძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ მამია ჭუმბურიძემ, ქალბატონმა ეთერ ბასილაშვილმა.

ბატონმა ზურაბ ჭუმბურიძემ თავისი ყმაწვილობიდან გაიხსენა რამდენიმე კურიოზად მოსაგონარი ეპიზოდი, რომლებმაც ღრმა კვალი დაამჩნიეს მის ცხოვრებას. მადლიერებით მოიგონა თავისი მასწავლებლები და ადრე წასული მეგობრები.

კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხეს თსუ ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომლებმა: თ. ცქიტიშვილმა, დ. თვალთვაძემ, ნ. დობორჯგინიძემ, თ. ბოლქვაძემ, მ. მელიქიძემ.

**თამარ სუხიშვილი**

## ერთი ავტორის სამი წიგნი

ბოლო წლებში ქუთაისში გამოვიდა **როზა დევდარიანის** სამი წიგნი: **„ვინ არის სალომე“** (რედაქტორი პროფ. ა. ხიკოლეიშვილი, 1993 წ.), **„ქრისტიანული მწერლობის სათავეებთან“** (რედაქტორი პროფ. ზ. კიკნაძე, 1995 წ.), **„ერთი წლის ქორწინებული“** (რედაქტორი პროფ. თ. გოლოვაძე, 1996 წ.).

ქალბატონი როზა დევდარიანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მან სამზეოზე გამოაქვს თავისი მრავალი წლის მუშაობით დაგროვილი გამოკვლევები, ნარკვევები და გამოცდილება.

პირველ წიგნში „ვინ არის სალომე“ წარმოდგენილია ავტორის მოსაზრებანი ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკასთან დაკავშირებით, საშუალო სკოლის, აბიტურიენტების სწავლა-განათლების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. კრებულში შესული ზოგი წერილი სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული ჩვენი პრესის ფურცლებზე.

წიგნში „ქრისტიანული მწერლობის სათავეებთან“ საფუძვლიანად არის განხილული ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – „ნინოს ცხოვრება“ და „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ბოლო კრებულის „ერთი წლის ქორწინებული“ I ნაწილში განხილულია გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის ლირიკული ნაწარმოებები, რომელთა სწავლებაც საშუალო სკოლის პროგრამით არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ავტორი გვაცნობს თავის მოსაზრებებს ქრისტიანული მწერლობის სწავლების ზოგ საკითხთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განხილულია ილიას საახალწლო, გიორგი მერჩულეს, დ. გურამიშვილის ნაწარმოებები. სამი წერილი ეხება აგიოგრაფიული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლს „ნინოს ცხოვრებას“.

ბოლო ცალკე თავში „ფიქრები“ პატარ-პატარა წერილების სახით ავტორი გვაცნობს თავის მოსაზრებებს ილიას საახალწლო, შ. ჯავახიშვილის, ქ. გამსახურდიას ნაწარმოებების ზოგ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

როზა დევდარიანის ეს წიგნები უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ქართული ლიტერატურის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, საერთოდ ყველას, ვისაც ქართული ლიტერატურის საკითხები არის დაინტერესებული.

რა ენა წახდეს...

# ფრთხილად, დიქტორო, გისმენენ!

საქართველოს ტელევიზია, I არხი

„ეს ხატი ისპანახში (რა თქმა უნდა, ისპაჰანში!..) მეფეს რუსი ვაჭრებისთვის მიუყიდიათ“ – „ალიონი“, 4.IX.

„გაიხსენეს, როგორ მოიტყუეს სომხური ბაგრატიონის (რა თქმა უნდა, ბაგრამიანის) სახელობის ასეული“ – ტელერეპორტაჟი ოფიცერთა სახლიდან, 13.VI.

„სულ მალე გაყიდვაში გამოვა გაზეთი „მაესტრო““ – სტუდია „მაესტრო“, 27.VII.

„დღეიდან უკვე გაყიდვაშია იასამნისფერი ლატარიის ბილეთები“ – „ლატარია ყველასათვის“, 5.X.

„გვაქვს ქალისა და მამაკაცის სუნამო, რომელიც დააწესა ფირმა „ნანამ“. აი, ეს დუხები“ – „მაესტრო“, 5.X.

„ამ ღონისძიებაზე ჩვენთან ფართოდ იყო წარმომადგენლები“ – „მაცნე“, 16.VIII.

„გუნდმა აიღო პირველი კითხვა“ – თამაში „ენა, სად, როდის“ (სათაურიც კალკია!)

„რეჟისორი ხელს ხელზე ისვამდა. მან დიდი ომი გააჩაღა... ეს იაფფასიანი ფილმია“ – „ალუზიონი“, 31. VIII.

„მედიკამენტების გართულების მიზნით (?) იგი (იგულისხმება ბ. ელცინი) ჯერ კიდევ გადაყვანილია ხელოვნურ სუნთქვაზე“ – „ალიონი“, 6.XI.

„გეგმდება სატელევიზიო ჩართვა ერევანთან“ – „ალიონი“, 18.IX.

II არხი, „პირისპირ“: „რამოდენიმე იდეების განხორციელებას იგი ერთად იწყებს“ – 8.VIII.

17 ოქტომბრის გადაცემიდან: „ჩვენი „იმერიის“ (იგულისხმება ანსამბლი „იმერია“) ქალებიდან უფროსი იყო ლუიზა... ერთ-ერთი ცოცხალკვერი ნომერი იყო, გამოვედი ცოცხალკვერ „ფორმაში...“ „ბოლო-ბოლო დამავიწყდა ტექსტი“... „ადამიანი თუ შემიყვარდა, ძალიან ღრმად შედიხარ მასში“ (?) „ყოველნაირ კომპლექსს ვიხდი“... „თუ შემიყვარა, მკვდარი ვარ მე მასთან განშორებით“...

**მასალა ჩაიწერა ირინე გოცირიძემ**

**რედაქციისაგან:** ჩვენს ხელთ არსებული უამრავი მასალიდან ზოგიერთი შევარჩიეთ, უფრო ტიპური. ზოგი მათგანი ნიმუშია წასაკითხი ტექსტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა, ზოგიც – დედაენისადმი უპატივცემულობისა, ზოგიც – უცოდინრობის... მოვუწოდებთ შეკრებათა ავტორებს ამ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებას და შეისმინეთ ჩვენი თხოვნა: თქვენ საქართველო გისმენთ, ისაუბრეთ სალიტერატურო ქართულით!

რა ენა წახდეს...

# «მძიმეების» ნიაღვარმა წალეკა პრესის ფურცლები

თანამედროვე ქართული პრესის ენა ერთ ადიდებულ მდინარეს ჰგავს, რომლის მღვრიე ტალღებშიც ნაგავი და მარგალიტი ერთად არის მოქცეული. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რედაქციებში სტილისტისა და ლიტმუშაკის შტატები გაუქმებულია, ანდა ამ თანამდებობებზე ისეთი პირები სხედან, რომელთაც დაკისრებული საქმისა არაფერი გაეგებათ.

ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაც ამ ცოტა ხნის წინ „გადახალისდა", ეტყობა, არ ჩქარობს მუშაობის განახლებას, დრო კი არ ითმენს. ბოლოს და ბოლოს ვინმემ ხომ უნდა მოსთხოვოს ჩვენს რედაქციებს, გამომცემლობებს, ავტორებს – მეტი გულისყურით მოეკიდონ ენას, დაიცვან სალიტერატურო ენის ნორმები, ხოლო ვინც გაფრთხილებას არად ჩააგდებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ჩვენს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში ბოლო დროს მომრავლებულ ნაკლოვანებათაგან აღსანიშნავია სრული ქაოსი სასვენი ნიშნების ხმარების მხრივ. იშვიათია გაზეთი, სადაც პუნქტუაცია მოწესრიგებული იყოს და ყოველ გვერდზე, ყოველ სვეტში რამდენიმე სასვენი ნიშანი არ აკლდეს ან ზედმეტად არ იყოს დასმული. შეცდომები გაზეთის მოცულობის პროპორციულად მატულობს. წარმოიდგინეთ, რამდენად მასშტაბურია მათი რაოდენობა ისეთ მრავალგვერდიან გაზეთში, როგორიცაა, მაგალითად „კვირის პალიტრა". ჩვენ ნიმუშად ვასახელებთ ამ გაზეთს, რომელიც ფართო და მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს მკითხველთა შორის. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, მის რედაქციას პირველ რიგში მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის დარღვეული პუნქტუაციის წესები „კვირის პალიტრის" ფურცლებზე, მასალას ამოვწერთ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომრიდან (№46, 18–24 ნოემბერი, 1996 წ.), ისიც შერჩევით, თორემ ყველა შეცდომის აღნუსხვას ვინ აუვა!

სასვენი ნიშნებიდან განსაკუთრებით დიდი ჯაფა ადგას მძიმეს, რომელიც წამდაუწუმ არის ჩართული წინადადებაში მაშინაც კი, როცა ეს წინადადება მარტივია და არც განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ურევია. ზოგჯერ ასე უადგილოდ ნახმარი მძიმე ერთმანეთისაგან თიშავს ქვემდებარესა და შემასმენელს: „რუსეთის პოლიტიკის მხრიდან რაიმე შეიცვალა აფხაზეთის მიმართ?" (გვ. 5); „მთავარი დამნაშავის მიკვლევა, შეუძლებელია" (გვ. 6); „ძირძველ პროფესიას გოგონები, უმეტესად დედებისაგან სწავლობენ" (გვ. 7); „უსახლკაროთა და მაწანწალათა ლაშქარი, დაუფიქრებლივ ითხოვს შველას" (გვ. 9).

მძიმით ასევე გათიშულია ხოლმე წინადადების სხვა მთავარი წევრებიც: „საპარლამენტთაშორისო კონტაქტების გაღრმავების პროცესს, აბრკოლებს აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლობა" (გვ. 2); „გაიხსენეთ, დიდი მწერლის ანტონ ჩეხოვის ნათქვამი" (გვ. 4); „ავილოთ, თუნდაც ეიცე-პრეზიდენტი გორი" (გვ. 7).

რაღა თქმა უნდა, მძიმეს კიდევ უფრო მეტი ხალისით იყენებენ წინადადების მთავარ და არამთავარ წევრებს შორის ჩასართავად: „დეპუტატობის კანდიდატთა შორის გალის რაიონში, ქართველებიც არიან დასახელებულნი" (გვ. 5); „ცოლმა გული გაუწყალა, პიგიენურ საშუალებათა უხეირობაზე წუწუნით" (გვ. 15); „ბრიჯიტ ბარდოს, მძაფრი წერილები პრესაში ცხოველთა დაცვას ეხება" (გვ. 17).

ჩვენს პრესაში წესად იქცა მძიმის დასმა გვარისა და სახელის წინ (ან – წინაც და უკანაც), როცა მას წინ უძღვის თანამდებობის ან წოდების აღმნიშვნელი სიტყვები რომელიმე ირიბ ბრუნვაში. ამ უცნაურ და უვარგის „წესს" მისდევს „კვირის პალიტრაც": „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა, განაცხადა" (გვ. 3); „ბელორუსიის პრეზიდენტის, ლუკაშენკოს გამოსვლამ რუსეთის სახელმწიფო დუმაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია" (გვ. 6); „მშენებლობის მინისტრის, რობერტო ტონინის აზრით, ასეთი ხიდი... ხელოვნების შედევრია" (გვ. 15). ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში მძიმის ნაცვლად ნახმარია ტირე: „მოსამართლე – ტერუზა პრინჩიპატომ განაცხადა" (გვ. 8).

მძიმე სრულიად არ არის საჭირო დროის გარემოების ფუნქციით ნახმარ ისეთ გამოთქმებთან, როგორიცაა „დიდი ხანია", ან „კარგა ხანია": „საკითხი დიდი ხანია, გადაჭრილია" (გვ. 5); „ხალი გვინეის დოკის ტომის ბელადს, დოკა პამბაგის დიდი ხანია, ეძებენ" (გვ. 16); „ამას კი კარგა ხანია, აკეთებს" (გვ. 5); „ამ ბრუსკას პოლიცია კარგა ხანია, ეძებდა" (გვ. 8); „(კომპოზიტორ მიშელ ლეგრანთან) მომღერალი, კარგა ხანია, თანამშრომლობს" (გვ. 2).

ასევე ზედმეტია მძიმე „გამო"-თანდებულიანი სახელით გადმოცემულ მიზეზის გარემოებასთან: „სამსაათიანი საუბრის გამო, სამი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გადადო" (გვ. 5); „საკმაო ინფორმაციის უქონლობის გამო, ზუსტი პასუხის გაცემა არ შეუძლია" (გვ. 5); „რუსეთის სამხედრო ბაზების გამო, საქართველოს პარლამენტმა მთელი გადაწყვეტილება" (გვ. 5).

წინადადების არამთავარი წევრები ხშირად ორივე მხრიდან მძიმეებით არის გამოყოფილი და განკერძოებული: „ყველა მომხმარებელს, ეტყობა, ვერ გასწვდება" (გვ. 2); „იგი 10 ნოემბრის საღამოს, გულის მწვავე უკმარისობით, ქსნის კოლონიაში დაიღუპა" (გვ. 3); „მარტო წელს, ჩვენს ქვეყანაში, ცოფით დაიღუპა 9 ადამიანი" (გვ. 4); „თან, სამი მონაწილისაგან, ორი უკვე დაღუპულია" (გვ. 6).

საერთოდ, სასვენი ნიშნების ფუნქციაა – ხელი შეუწყონ აზრის უკეთ გაგებინებას. წამდაუწუმ დასმული [illegible] თვალში ეჩხირება და უარყოფით ეფექტს იძლევა. რა საჭიროა, მაგალითად, ყოველთვის მძიმეებით გამოყოს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **კი, ალბათ, ლამის, თუმცა** და სხვანი?! ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ასეთი მაგალითები: „ერთი კვირის წინ კი, რუსეთში არალეგალურად გადასვლის ფაქტზე დააკავეს რუსეთის მოქალაქე" (გვ. 2); „პირველობს კი, ტაივანი" (გვ. 2); „თუმცა, მათი წილი – ძალზე მცირეა" (გვ. 2); „პოდმოსკოვიეს ეს პატარა ქალაქი... ლამის, რუსეთის კრიმინალური სამყაროს დედაქალაქად გადაიქცა" (გვ. 8); „რით აიხსნება აფხაზების, ალბათ, პარადოქსული სწრაფვა რუსეთის მიმართ?" (გვ. 5); „იკვლევდა პირმოხები, თუმცა, ამ ნივთიერებას ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევდა" (გვ. 20).

პუნქტუაციის წესების მიხედვით, მაკავშირებელი **თუ** კავშირისა და მაცალკევებელი **ან** კავშირის წინ მძიმე მხოლოდ მაშინ დაისმის, როცა კავშირი წინადადების ორივე ნაწილში მეორდება. „კვირის პალიტრის" ფურცლებზე ეს წესიც ხშირად ირღვევა: სრულიად ერთნაირ ვითარებაში ერთგან დასმულია მძიმე, მეორეგან – არა: „განსაკუთრებით იმისა უსახლკაროა, თუ მაწანწალა, თბილისის მოქალაქეა თუ ჩამოსული. შეეცდებით ყველას მიეცეთ თავშესაფარი" (გვ. 9). წესით, მძიმე საჭიროა არა "თუ"-ს წინ, არამედ "უსახლკაროა"-ს წინ.

**თუ** და **ან** კავშირების წინ მძიმე უადგილოდ არის დასმული მრავალ სხვა შემთხვევაშიც: „მაწანწალა და უპატრონო, თუ პატრონიანი ბავშვებისა და მოზარდების პრობლემას „კვირის პალიტრა" უახლოეს მომავალში დაუბრუნდება" (გვ. 9); „შუა ხნისათუ ხანში შესულ მაწანწალათა გვერდით" (გვ. 9); „ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა საკონცენტრაციო ბანაკები, თუ დევნა" (გვ. 16); „თუ ერთი თვის მანძილზე ბავშვს, ან მოზარდს პატრონი გამოუჩნდა, მას ხელწერილით აბარებენ შვილს" (გვ. 9); „წერილებში ვაჭრობით, ან „რაღაცით" ირჩენს თავს" (გვ. 9).

ამავე დროს მძიმე სწორედ იქ აკლია, სადაც მისი დასმა საჭირო იყო (ფრაზის ორივე ნაწილში მეორდება ან კავშირი): „ან პრინცი ან სხვა არავინ" (გვ. 15).

მოვიყვანთ სასვენი ნიშნების დაკლების კიდევ ორიოდე მაგალითს: „მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის, უძვირფასესი ხატები და საეკლესიო ნივთები ერის კუთვნის" (გვ. 4). აქ "შორის" შემდეგ მძიმე ზედმეტია, "ნივთების" შემდეგ კი – აკლია.

„მხოლოდ მაშინ გვაქვება უფლება საკუთარ თავს და ქვეყანას – ცივილიზებული ვუწოდოთ" (გვ. 9). აქ ტირე ზედმეტია.

ერთი სიტყვით, სასვენი ნიშნების (განსაკუთრებით – მძიმის) ხმარების მხრივ, როგორც ზემოთ ვთქვით, სრული განუკითხაობაა, – და ეს ნაკლი მხოლოდ ერთი ან ორი გაზეთის ფურცლებზე როდი იჩენს თავს. ნუ დავტოვებთ ამ ნაკლს უყურადღებოდ!

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრთხილად, „დედაენაა"!




„დედაენა" სახელმძღვანელო კი არა, უდიდესი პოემაა. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნი არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად. – ბრძანებს გალაკტიონი და, რა თქმა უნდა, ქართველი კაცისთვის შეხსენებაც არაა საჭირო, რომ „დედაენის" ავტორი იაკობ გოგებაშვილია. თუმცა... ასე იყო აქამდე. შემდგომში ალბათ დაზუსტება დასჭირდება ავტორს...

გამომცემლობა „საქართველოს" ქუთაისის ფილიალმა 1995 წელს გამოსცა „დედაენა". გამოცემა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული – ბუდაპეშტში დაიბეჭდა საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე!

ძალიან კარგით, იტყვის მკითხველი, მაგრამ... ეს არ არის იაკობ გოგებაშვილის „დედაენა", ეს ლელა შალიკაშ-ხოტივარის „დედაენაა"! დიახ: „წიგნის **მხატვრული გაფორმება, ლექსები და პროზაული ტექსტები ლელა შალიკაშ-ხოტივარისა"** – ასე აწერია წიგნს.

# მკრეხელობა

ამ წიგნს იაკობის „დედაენასთან" საერთო მხოლოდ სახელი აქვს და მინიშნება იმის თაობაზე, რომ ეს არის „დამხმარე სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით შედგენილი"; და კიდევ სურათი, იაკობის „დედაენის" გვერდით დგომისა!.. ავტორის მოუსმინეთ: **„ამ წიგნსაც დედაენა ვუწოდე ისე, როგორც დედა არქმევს ხოლმე თავის პირმშოს სახელს ვისიმე სიყვარულითა და პატივისცემით. ვფიქრობ, ეს წიგნი მოკრძალებით დადგება იაკობ გოგებაშვილის დედაენის გვერდით"...**

მკრეხელობაა, სხვა რომ არა ითქვას, ამგვარი სათაურის შერჩევა...

მკრეხელობაა, იაკობის „დედაენასთან" თავის გატოლება...

ცალკე მსჯელობის საგანია წიგნის თემატური მხარე და მასში (I ნაწილში) შესული ნაწარმოებთა მხატვრული დონეც („წიგნის ბოლოს, – ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, – თავმოყრილია ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსები")...

წიგნის რედაქტორია **ზურაბ კუხიანიძე**.

წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ **„დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ"...**

გვსურს, შევეკითხოთ განათლების სამინისტროს: ხვალ ლელა შალიკაშ-ხოტივარმა, ან ვინმე სხვამ, შოთა რუსთაველის სიყვარულითა და პატივისცემით „ვეფხისტყაოსანი" რომ დაარქვას თავის წიგნს, დაამტკიცებთ და გამოსცემთ?

და კიდევ, შევახსენებთ გამომცემლობასა და განათლების სამინისტროს, რომ წელს „დედაენის" საიუბილეო წელია – იაკობ გოგებაშვილის "დედაენის"!..




## შევეკითხოთ სიტყვის მამას



**ამპარტავნება** – ესე არს თავის ნაქმარის მომწონებელი და უმსგავსის დიდების მოყვარე, გულმაღალი და სწავლის მოთაკილე ზვაობა, ზესთამზნეობა, ანკანება, სილაღე, კოხოლობა და კოხტაობა განიყოფებიან ესრეთ: **ამპარტავნებაი** არს საზოგადო ყოველთა კაცთათვის, რამეთუ მდიდართა შორისცა იქმნებიან ამპარტავანნი და გლახაკთათაცა, აზნაურთათაცა და უაზნონი, უცოდინართა სიმაღლისა მდევმეძიებელნი, რომელნი იყვნენ გარდამეტებულთა და არა ჯერ ჩინებისაებრ მინიჭებულთა წყალობათა, პატივთა უფლებათა, მსგავსად ეშმაკთასა; ხოლო **ზვაობაი** არს ყოველთა ზედაარამედ მდიდართა და დიდებულთა, სწავლულთა და ხელმარჯვეთა და მხნეთა; **ქედმაღლობაი**, რომელნი განლაღნენ და აღარა გონებდენ სიმდიდრისა დიდებისა და მათისა მოკლებასა, გინა სწავლითა მიერ დაცემასა, არამედ მათითა იჭადოდენ და არა ძალითა ღვთისათა; ხოლო **ზესთა მზნეობაი** ეგეთა ზედა: კაცსა რომელსა ენებოს თავი თვისი სხვასა უმაღლესად და უკეთესად გამოჩენა;

**ანკანებაი** არს ზვაობათა მსგავსივე არა საზღვართა კაცთა მიერ; და **სილაღე** არს ჭაბუკთა კადნიერებით საქმე რომელი ჰგონებდეს თავით თვისით შეძლებაცსა რასმე და ძალითა ღვთისათა და უმეცრებისა გზა არს ესე; ხოლო **კოხოლობა** არს, რომელი ყელთმის მოყვარე იყოს ზემო, უგვანთა მისთა ადგილთა და მსგავსად ამათთასა მცირეთა მოქმედთა; და **კოხტაი** არს, რომელი შეხედვითა ზვავსა გვანდეს, ხოლო საქმითა მდაბალი იყოს.

**გიჟი.** სიგიჟე განიყოფების ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნაღვლიანად, რეგვენად, ტეტრად, შლეგად, შტერად, ფეთიანად და შეთიანად. **შმაგი** არს სიგიჟით თავსაცა თვისაცა ავნებდეს და სხუათაცა მავნებელ ექმნებოდეს; **ხელი** არს რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა თვით იგუემდეს და არცა სხუათა ავნებდეს; **სულელი** არს რომელი არცა სრულიად ცნობა მიღებულ იყოს და არცარა სასარგებლო ქმნას; ცოფი არს გონება და ცნობა მიხარცუული. ნაღველიანი არს ოდესმე ცნობასა იყოს და ოდესმე უცნობო; **რეგვენი** არს რომელსა სიბრძნე აკლდეს და მცირედ ხელურსა იქმოდეს; **ტეტრი** არს რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს, **შლეგი** არს არა ხელი, არცა ცნობამიღებული, არამედ დაუცადებლად თავგანწირვით განუსჯელი; **შტერი** არს ფრიადისა აღორთქლებათა შინაგან ნივთთა მიერ საგრძნობელთა ორღანო მიღებული და საქმისა ვერაკეთილად მქნელი; **ფეთიანი** არს ღამით საოცართა და ფეთებათა მიერ მცირე ხანს ცნობამიღებული; **შეთიანი** არს სნეული, რომელი ცვალურად იქცეოდეს და ჩქარად დაწვეს და წამოდგეს და უგვანად უბნობდეს.

სალომე ორბიანი

# ანბანანი



## ხვითო

შემეცნებითი თამაში ქართული ენის სახალისო ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.

*თამაშს, რომელსაც გთავაზობთ, ხვითო (ნატვრისთვალი) ვუწოდეთ. ზღაპრებიდან გახსოვთ ალბათ, რომ ნატვრისთვალი თავის პატრონს ყოველგვარ სურვილს უსრულებს. ვინც ამ თამაშს ბოლომდე გაჰყვება, ხვითოსაც დაისაკუთრებს, რადგან იგი ცოდნის მფლობელი გახდება, ცოდნით კი ყველა ნატვრის ასრულებაა შესაძლებელი.*

## ორფევსი და ევრიდიკე

*(პირველი ნაწილი)*

ძალიან დიდი ხნის წინათ ქვეყანაში, რომელსაც თრაკიას უწოდებდნენ, ცხოვრობდა მოსიყვარულე ცოლ-ქმარი - მომხიბლავი ნიმფა, ანუ ფერია ევრიდიკე და სახელოვანი მომღერალი ორფევსი. სამწუხაროდ, მათი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა.

1. რა ეწოდება ქვეყანას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და კიდევ რომელი ქვეყნების დასახელება შეგიძლია?

1. ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

2. ..........................................................

3. ..........................................................

4. ..........................................................

5. ..........................................................

6. ..........................................................

7. ..........................................................

8. ..........................................................

9. ..........................................................

10. ..........................................................

2. ტექსტში მოძებნე და ცარიელ უჯრებში ჩაწერე მოცემული სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

პატარა - დ ი დ ი

მოძულე - ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

უბედურება - ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

ხანგრძლივი - ☐☐☐☐☐☐☐☐

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს **ანტონიმები** ეწოდება.

## 3. კროსვორდი ანუ

ს
ი
ტ
ყ
ვ
გადაჯვარედინებული
ბ
ი

რა ერქვა ნიმფას?

ვინ იყო სახელოვანი მომღერალი?

რა ერქვა მათ ქვეყანას?

სიტყვები, რომლებიც ცარიელ უჯრებში ჩაწერე, **საკუთარი სახელებია.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**პასუხი "ბ.გ." № 11 (16)-ში გამოქვეყნებულ კროსვორდზე:** 1. ნიკორწმინდა. 2. სადღეგრძელო. 3. გუთნისდედა. 4. ცოცხალთვალა. 5. გახელებული. 6. გამხნევებული. 7. განთიადი. 8. სათავური. 9. ძრიელი. 10. ჩანგური. 11. მერანი. 12. არწივი. 13. პოეტი. 14. თოვლი.

შეცდომის გასწორება: კროსვორდის მე-3 კითხვის ბოლოს უნდა იყოს უ-1.

თუ ხართ ქართული ენის გულშემატკივარი,
თუ გიყვართ ქართული ლიტერატურა,
თუ გაინტერესებთ ჩვენი სკოლის ბედი,
გამოიწერეთ გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა“
ჩვენი ინდექსია 76016

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ო, ენავ ჩემო!..








## საქართველოს გზებზე!..




